

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #62

ქ. თბილისი
საათი

2020 წელი, 3 აპრილი, 13:00

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, თევდორე ისაკაძე, დავით ჭელიძე, დავით უთმელიძე, ჯაბა ჯიმკარიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გოჩა თევდორაძე (03-032009414 – 03.04.2020), ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (#03-032009333– 02.04.2020), გიორგი გაბაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ლევან ჯღარკავა - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი

ქვარა ჩართოლანი- ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე

ჯუბა ყანდარელი - ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე(საკრებულოს №16-032008718 27.03.2020)

2.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (საკრებულოს №12-03200621-03 02.03.2020)
3.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის შესახებ(საკრებულოს №11-03200931-0302.04.2020)
4.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03200661-03 06.03.2020; №12-032007325-03 13.03.2020; №12-032007370-03 13.03.2020; №12-032007915-03 19.03.2020; №11-03200902 30.03.2020; 12-032009013-03-30.03.2020)
5.	„ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-12-032007913-03 -19.03.2020)
6.	„ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.01.018.273; 01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-03200761-03 - 16.03.2020)
7.	„ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ს. ცინცამის ქ. №51-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №224 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-03200903-03 30.03.2020)

8.	„ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №11-03200904-03 30.03.2020)
9.	„ქალაქ თბილისში, დ.აბაშიძის ქუჩა N17-სა და დ. აბაშიძის N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.001.006; N01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი, სასტუმრო, კაფე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032009023-03 - 30.03.2020)
10.	ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N41-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.691) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების, დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №11-032009019-03 - 30.03.2020)
11.	„ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.074) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“(საკრებულოს №12-032003167-03 – 31.01.2020)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (საკრებულოს №16-032008718 -03 - 27.03.2020)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული რესურსები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 30 000,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება - 1 432,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნებები - 482,3 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 1 230,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 74,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 148,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 99,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 60,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 22,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 18,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 96,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) - 37,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 40,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) - 31,5 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 84,8 ათასი ლარი, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) - 6,0 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) - 399,9 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) - 142,8 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 42,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 21) - 2 000,0 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) - 1 585,2 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) - 140,0 ათასი ლარი. გარდა ამისა, დაემატა ახალი ქვეპროგრამა - სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) - 2 200,0 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 153 ერთეული. ასევე, დაზუსტდა პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობები. მათ შორის: იზრდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ერთეულით, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 1 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული

მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად გაიზარდა 153 ერთეულით. მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება - 69,8 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 32,9 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 51,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 43,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის (კოდი 01 01 14) - 34,2 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 420,9 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 102,2 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 31 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნება - 1 865,1 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 9,7 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 106,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნება - 195,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 152,2 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 348,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 74,8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) - 142,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 116,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 255,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 77,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 46,5 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება - 1 014,2 ათასი ლარით, თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 518,5 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 08) - 243,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 77,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 18,5 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 219,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 292,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 274,9 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 465,1 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 160,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 19,6 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება

საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 20 03) – 497,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 4,2 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 1 111,7 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 27,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის (კოდი 09 01) პროგრამის ასიგნება – 17,2 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 239,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 32,2 ათასი ლარით. პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 021 400,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 217 580,0 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 980 969,9 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 021 400,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 217 580,0 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 980 969,9 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 687 009,5 ათასი ლარი - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი – 170 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი – 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 482 009,5 ათასი ლარი. გრანტები 90 963,0 ათასი ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 503,0 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; - სპეციალური ტრანსფერი 90 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 202 997,4 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 8 600,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 48 000,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი - მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 5 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებლები – 11 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 51 000,0 ათასი ლარი; - სხვა შემოსავლები – 9 397,4 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 238 980,6 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია 880 397,1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 340 759,8 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 17 823,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 100 572,8 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 300 759,8 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 340 759,8 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 40 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (218 010,7) ათას ლარს, მათ შორის: – ფინანსური აქტივების კლება – 218 010,7 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 217 580,0 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (17 823,6) ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 17 823,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (200 187,1) ათასი ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (საკრებულოს №12-03200621-03 02.03.2020)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახადების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს, წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების და ზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, სსიპ-ისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. წინა წლების ბიუჯეტების შესრულებების ანგარიშებისგან განსხვავებით, 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დამატებულია პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები, რაც იძლევა საშუალებას შეფასდეს ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობა დაგეგმილ ბიუჯეტთან. 2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 1,043,916.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,160,126.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 111.1%. შემოსავლების გეგმა 1,101,206.0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 109% და მთლიანი - შემოსულობების 94.9% შეადგინა. გადასახადები-მთლიანობაში მობილიზებულია 708,992.3 ათასი ლარი (107,7%); ქონების გადასახადიდან - მიღებულია 211,185.8 ათასი ლარი (114.2%); დამატებული ღირებულების გადასახადი - მიღებულია 497,806.5 ათასი ლარი (406,2%); გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 151,112.1 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი - მთლიანობაში მიღებულია 14,752.9 ათასი ლარი, გეგმის 136,0%: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა

განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის - 13,309.1 ათასი ლარი, გეგმის 156,6% მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე 1,443.8 ათასი ლარი, გეგმის - 85,0%; სხვა არაკლასიფიცირებული სანებართვო მოსაკრებელი -0,1%; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - მიღებულია 151,430.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 106,5%-ია; სათამაშო ბიზნესი - მიღებულია 74,044.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (74,000.0 ათასილარი) 100.1%-იდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 3,823.2 ათასი ლარით ნაკლებია; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 37.2 ათასი ლარი,რაც გეგმის 53.2%-ია; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან მიღებულია 48,312.7 ათასი ლარი - გეგმის 102.8% მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 13,180.1 ათასი ლარი - გეგმის 131.8%. ჯარიმებიდან და საურავებიდან - მიღებულია 59,281.9 ათასი ლარი - გეგმის 148.2%. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები § საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება - 191,949.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (271,637.5 ათასი ლარი) 70.7%-ია; § ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 218,740.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (223,092.9 ათასი ლარი) 98%-ია; § ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 90,762.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (97,943.7 ათასი ლარი) 95.6%-ია; § ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2,372.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,497.1 ათასი ლარი) 95%-ია; § ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 20,760.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (20,927.5 ათასი ლარი) 99.2%-ია; § ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 205,328.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (206,596.1 ათასი ლარი) 99.4%-ია; § განათლება - 156,392.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (163,588.9 ათასი ლარი) 95.6%-ია; § კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 28,982.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (32,110.6 ათასი ლარი) 90.3%-ია; § საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3,876.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,884.7 ათასი ლარი) 99.8%-ია; § ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 83,378.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (86,787.9 ათასი ლარი) 96.1%-ია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა მოვლა--შენახვა- გეგმიურმა შესრულებამ შეადგინა - 97,1%. ტრანსპორტის განვითარება დაფინანსებულია 37,361.1 ათასი ლარით, (გეგმიური მაჩვენებლის 112,389.6 ათასი ლარის 33.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები გეგმა - 13,048.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 11,760.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.1%-ია; ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება - გეგმის 99.3%-ით. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია გეგმა - 99,107.6 ათასილარი, დაფინანსდა 25,369.0 ათასი ლარით, გეგმის - 25.6%; • განმარტება დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდით

თანხებს შორის შეუსაბამაზე (30% იანი გასხვავება) - აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ მიზეზით რომ საჭირო იყო განსხვავებული ზომის და კატეგორიის ავტობუსების ბაზრის კვლევა, რამაც მოითხოვა დიდი დრო და სატენდერო პროცედურების გაჭიანურება. შესაბამისად არ მოხდა თანხის გადარიცხვა. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება · საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია - დაფინანსდა 25,442.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.1%-ია. · ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - დაფინანსდა გეგმის 95.1%-ით. · გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - დაფინანსდა 30,723.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია; · სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა დაფინანსდა 2,416.8 ათასი ლარით. გეგმის 96.7%; · კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 59,807.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 60,419.3 ათასი ლარის 99%-ი) · 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები გეგმა 500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 192.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 38.4%-ია. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება · გამწვანების ღონისძიებები გეგმა - 34,863.4 ათასილარი, დაფინანსდა 30,785.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 88.3%-ია; · დასუფთავების ღონისძიებები გეგმა - 53,200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100 %-ით. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა · ბიზნესის სტიმულირება დაფინანსდა 555.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.7%-ია; · თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - დაფინანსდა 690.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.3%- ი; · ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 50.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 49.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია; · ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება დაფინანსდა 411.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.8%-ია. ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 54,368.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 55,009.7 ათასი ლარის 98.8%; · დაავადებათა სკრინინგი-დაფინანსდა 2,301.2 ათასი ლარით, გეგმის- 99.2% · აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია -დაფინანსდა 3,962.3 ათასი ლარით - გეგმის 99.9%; · ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 2,900.0 ათასი ლარით, 100%-ით; · 06 01 13 ტრანსპლანტაცია-დაფინანსდა 7,605.4 ათასი ლარით - გეგმის 99.9%; სოციალური დაცვა დაფინანსებულია 150,960.5 ათასი ლარით - გეგმის 99.6%, შესაბამისი ქვეპროგრამები, მათ შორის: · ვომუნალური სუბსიდირება დაფინანსდა 8,027.9 ათასი ლარით - გეგმის 99.9%; · სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება დაფინანსდა 9,453.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.9%-ია; · 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება დაფინანსდა 33.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.8%-ია. · ომის ვეტერანების დახმარება - 132.0 ათასილარი, დაფინანსდა 100%-ით. · საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) და საბაგრო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება -62,800.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით; · უფასო სასადილოებით მომსახურება დაფინანსებულია

17,997.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ი). · დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსებულია 6,269.6 ათასი ლარით (გეგმის 99.8%): · წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში-739.8 ათასი ლარი, გეგმის 86.6%; · თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარის მოვლა-პატრონობა -1,222.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.9%-ია; · სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება დაფინანსდა 100%-ით; · შინმშენებლის თანადაფინანსება - დაფინანსდა 96.2% განათლება · სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება -დაფინანსებულია 134,684.0 ათასი ლარით-96.7%; · ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,600.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,700.0 ათასი ლარის 96.3%; · სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა გეგმა - 1,300.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,284.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია. · მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა-გეგმის 91.8%-ით. კულტურა, სპორტიდაახალგაზრდობა · თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,407.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,608.9 ათასი ლარის 92.3% · ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 1,332.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,369.5 ათასი ლარის 97.3% · ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა გეგმის 93.8%-ია. · სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 13,137.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 15,193.9 ათასი ლარის 86.5% · წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიმართული სახსრებისთვის გამოყოფილმა ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 1,030.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 51.5%-ია. · სარეზერვო ფონდისთვის გამოყოფილი 4,788.7 ათასი ლარიდან გადარიცხულია 4,632.3 ათასი ლარი.

კომისიამ მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (საკრებულოს: N 12-03200621- 03; 02.03.2020წ) დოკუმენტი და ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად ჩათვალა და შესაბამისად გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის შესახებ(საკრებულოს №11-03200931-03 02.04.2020)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინსპექციის სამსახურის უფროსმა ბატონმა ლევან ჯღარკაბვამ. მისი თქმით, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლიდან და „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით და იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება – საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა. საქართველოს პრეზიდენტმა 2020 წლის 21 მარტს გამოსცა №1 ბრძანება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი (შემდგომში - დეკრეტი), რომელთა საფუძველზე საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 23 მარტს გამოსცა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ №181 დადგენილება (შემდგომში-დადგენილება). დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების დაცვას აღსრულებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ასევე მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი ხდებიან, კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე ადგილზე განიხილონ და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდონ ადმინისტრაციული სახდელი, რომელიც განსაზღვრულია დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით და ფიზიკური პირისთვის შეადგენს 3000 (სამი ათას) ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის 15 000 (თხუთმეტი ათას) ლარს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების განსაზღვრა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტით. წინამდებარე დადგენილებით ხდება სწორედ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებით საქმისწარმოების წესი, კერძოდ: 1. პირველი მუხლით განისაზღვრება, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას განახორციელებენ და საჯარიმო ქვითრებს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებს გამოწერენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საჯარო მოსამსახურეები. 2. მე-2 მუხლი განსაზღვრავს საჯარიმო ოქმის ფორმას. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა იმყოფება საგანგებო მდგომარეობაში და ყველა ქმედება ხორციელდება ფორსირებულად, მიზანშეწონილია, რომ მოცემულ შემთხვევებში სამართალდარღვევის დასაფიქსირებლად გამოყენებულ იქნას უკვე დამტკიცებული და არსებული საჯარიმო ქვითრები. აქედან გამომდინარე, მე-2 მუხლი უთითებს, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებული

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას გამოიყენება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა“. 3. მე-3 მუხლი ასევე უთითებს N28-96 დადგენილებაზე. კერძოდ, რადგან საჯარიმო ქვითრები - ოქმი გამოიყენება სწორედ იმ ფორმის, რაც დამტკიცებულია N28-96 დადგენილებით, მიზანშეწონილია რომ ამ ოქმის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი განისაზღვროს ასევე N28-96 დადგენილების შესაბამისად. თუმცა, აქვე კეთდება დათქმა, რომ ოქმის შევსება რამდენიმე ნაწილში, შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული წესით, რაც ამავე დადგენილების შემდგომ დებულებებშია მოცემული. 4. მე-4 მუხლი ეხება ოქმის რამდენიმე ნაწილის შევსების განსხვავებულ წესზე, კერძოდ N28-96 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა“ ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებას. შესაბამისად, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის არც ერთი ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ოქმის შესაბამის პუნქტებში შევსების დროს უნდა მიეთითოს არა ზემოაღნიშნული რომელიმე კოდექსი, არამედ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა რომელ სამართლებრივ აქტითაც არის განსაზღვრული, ანუ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი. ამავე მუხლში მითითებულია იმ პუნქტებზე, რომლის შევსება აღარ წარმოადგენს საჭიროებას. 5. მე-5 მუხლი უთითებს, თუ რომელი დებულებები არ უნდა იქნას გამოყენებული N28-96 დადგენილებიდან, რადგან ამ დებულებებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება წინამდებარე დადგენილების შემდგომ მუხლებში. კერძოდ, გასაჩივრებასთან და ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება წინამდებარე დადგენილებით და არა N28-96 დადგენილებით. 6. მე-6 მუხლი განსაზღვრავს გასაჩივრების წესს. კერძოდ, აღნიშნულის მიხედვით პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი სამართალდარღვევის დადგენილება, მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი თანამდებობის პირთან - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან ან სასამართლოში. 7. მე-7 მუხლი განსაზღვრავს ჯარიმის გადახდის მექანიზმს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებყოფლობით უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30

დღის განმავლობაში. 8. მე-8 მუხლი ეხება დადგენილების ამოქმედებას და იგი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03200661-03 06.03.2020; №12-032007325-03 13.03.2020; №12-032007370-03 13.03.2020; №12-032007915-03 19.03.2020; №11-03200902 30.03.2020; 12-032009013-03-30.03.2020)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-03200661-03 06.03.2020; №12-032007325-03 13.03.2020; №12-032007370-03 13.03.2020; №12-032007915-03 19.03.2020; №11-03200902 30.03.2020; 12-032009013-03-30.03.2020) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ქვარა ჩართოლანმა. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი დასამუშევრო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 11 წინადადება, ასევე 1 ცვლილება ტერიტორიულ სტრუქტურულ რუკაზე, კერძოდ:

№12-032007370-03 13.03.2020 (№12-03200661-03 06.03.2020)

ა) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.040) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 27 თებერვლის N18-01200583081 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა და მთლიანად გავრცელებულ იქნას ძირითადი რუკით განსაზღვრული სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე

(საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.040) გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა-2 -ის (ტზ-2) გავრცელება მისაღებია. აღნიშნული ცვლილება მოიცავს მომიჯნავედ მდებარე N01.17.02.001.074 საკადასტრო ერთეულის რეგისტრირებულ მცირე ნაწილსაც.

ბ) ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.458) და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა (ლსზ) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური 2020 წლის 21 თებერვლის N01200523382 წერილით აფიქსირებს დადებით პოზიციას და განმარტავს, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „პანტომიმის სახელმწიფო თეატრის“ ერთობლივი დაგეგმარებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა წარმოსადგენი იქნება პროექტირების ეტაპზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 13 თებერვლის N01200441984 (04.03.2020, N67-01200643800) წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა, წარმოდგენილ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - პანტომიმის სახელმწიფო თეატრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ თეატრის მშენებლობის მიზნით, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ სპეციალური გამოყენების ტერიტორიებს (მაგ.: სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი; კულტურული; სამედიცინო; სასაფლაო; სამხედრო დანიშნულების ტერიტორიები; სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულებების განთავსება). ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.458) და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა (ლსზ) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო (ლსზ) და სატყეო ზონებიც;

გ) ქალაქ თბილისში, ქუჩა ლეო კვაჭაძე, N17 არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.972; 72.16.21.765; 72.16.21.940) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის

(რზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3), სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური 2020 წლის 26 თებერვლის N01200573894 წერილით აფიქსირებს დადებით პოზიციას და განმარტავს, რომ ვინაიდან წარმოდგენილ იქნა საპატრულო პოლიციასთან და ტრანსპორტის სამსახურთან 2020 წლის 18 თებერვლის N16-01200493036 წერილით შეთანხმებული სქემა, სამსახური, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების შესაბამისად, ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). ტერიტორიაზე განთავსებულია სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) დასაშვები საგანმანათლებლო დაწესებულება. ტერიტორიის მიმდებარედ განხორციელებულია ინფრასტრუქტურული გზის მოწყობის პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, N72.16.21.648, N72.16.21.892 და N72.16.21.810 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (სზ-1), ასევე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.972; N72.16.21.765; N72.16.21.940; N72.16.21.648; N72.16.21.892; NN72.16.21.810) და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3), სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონაც (რზ);

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.798; N81.02.05.335, N81.02.05.797, N81.02.05.726, N81.02.39.030) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების შესაბამისად, ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ტერიტორიის მიმდებარე არეალი განაშენიანებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით და ასევე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით N81.02.05.798; N81.02.05.335, N81.02.05.797, N81.02.05.726 და N81.02.39.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მიმდებარედ ხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების

შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20- 105 დადგენილების შესაბამისად, არსებული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) კონტურით საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) დაბრუნება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.575, N81.02.05.556; N81.02.05.798; N81.02.05.797; N81.02.05.829; N81.02.05.868, N81.02.05.913, N81.02.39.014, N81.02.39.030, N81.02.05.612, N81.02.24.019-ის ნაწილზე) N81.02.39.052, N81.02.39.053, N81.02.39.054, N81.02.39.110, N81.02.39.111, N81.02.05.726, N81.02.24.023, N81.02.98.184, N81.02.05.335) სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღება.

№12-032007325-03 13.03.2020;

ქალაქ თბილისში, ბავშვთა ქალაქი მზიურის ტერიტორიაზე მდებარე N01.14.14.005.197 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“ -ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N437 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციური ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ბავშვთა ქალაქი მზიურის ტერიტორიაზე მდებარე N01.14.14.005.197 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

№12-032007915-03 19.03.2020;

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: საკონსულტაციო ჯგუფი „Ramboll“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ოფიციალური პოზიცია და რეკომენდაცია , „ვაშლიჯვარი-დიდი დილომი“-ს პერსპექტიული მაგისტრალის შესახებ. აღნიშნული მაგისტრალი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ

ნაწილში (დანართი 1) დატანილია პერსპექტიული მაგისტრალის შეზღუდვის არეალით. საკონსულტაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პოზიციით პროექტს არ ექნება ხელშესახები შედეგი, გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით გავლენა მიმდებარე დასახლებებზე იქნება მაღალი, ხორციელდება გზის გატარება არსებულ დასახლებებზე. ამასთან, თბილისში, სოფელი დილომის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით არსებობს უფრო მაღალი პრიორიტეტები მათ შორის არსებული გრუნტის გზების მოასფალტება, ვიდრე აღნიშნული პროექტის განხორციელება. აღნიშნული ცვლილებით კორექტირდება დანართი 1.10 ით დამტკიცებული ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირების რუკა (პერსპექტიული ქალაქგეგმარებითი კარკასი) კერძოდ, აღნიშნული შეზღუდვის არეალში გრაფიკული ნაწილიდან ხდება დამფარავი ქალაქგეგმარებითი კარკასის ამოღება.

№11-03200902 -03 30.03.2020;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, იაკობ ცურტაველის V ჩიხი, N 8-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N81.05.03.254; N 81.05.16.091) ნაწილზე მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე და მიმდებარე არეალზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 20 იანვრის N01200202617, 2020 წლის 23 იანვრის N0120023499 და 2020 წლის 24 იანვრის N012002463 წერილების შესაბამისად, სამსახური მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. საგზაო უსაფრთხოების და შეუფერხებელი სამანქანო გადაადგილების უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს ფაქტობრივად არსებული გზის გაყოლებაზე, N81.05.16.095 საკადასტრო ერთეულის პარალელურად მდებარე ჩიხზე (გზის სიგანე განისაზღვროს ფაქტობრივად არსებული ფიზიკური ბარიერების შესაბამისად). სამსახურის ინიციატივით, ლოგიკური კავშირის შეკვრის მიზნით (ჩიხის მოწყობა) ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, იაკობ ცურტაველის V ჩიხი, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N81.05.03.254; N81.05.16.091) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და მის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ჩიქვანაიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.013.003) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო

ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე და მიმდებარე არეალზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 მარტის N01200703429 წერილით სამსახური თანახმაა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩიქვანაიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.013.003) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2);

გ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რაჭის ქუჩა N 27-29-31-33-35-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.931, N 81.08.28.932, N 81.08.28.876, N 81.08.28.892, N 81.08.28.891) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე და მიმდებარე არეალზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 9 მარტის N01200694891 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.931, N81.08.28.932, N81.08.28.876, N81.08.28.892, N81.08.28.891) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით შეიზღუდა მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, ამასთანავე ტერიტორიაზე ფიქსირდება დაბალი ინტენსივობის განაშენიანება. დამატებით საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ხარვეზის გამოსწორების მიზნით, ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რაჭის ქუჩა N27-29-31-33-35-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.931, N81.08.28.932, N81.08.28.876, N81.08.28.892, N81.08.28.891) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და მიმდებარე სარეკრეაციო ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2 -იც (რზ-2).

ა) ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135-ის მიმდებარედ, გლდანის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.13.02.248; N72.13.02.396; N72.13.02.508) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 მარტის N01200703431 წერილით, გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ფაქტობრივი მდგომარეობით მასზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა (სკოლა), სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. სპეციალური ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135-ის მიმდებარედ, გლდანის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.13.02.248; N72.13.02.396; N72.13.02.508) სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც (რზ); ბ) ქალაქ თბილისში, ქვემო გომის ჩიხში N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.070.012) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3 -ით (სზ-3) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 27 თებერვლის N01200583796 წერილის მიხედვით სამსახურის მიერ გათვალისწინებულ იქნა მ/ წლის 21 თებერვლის N16-01200523996 წერილით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომლითაც საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ჩიხის შესასვლელის სიგანე რჩება სამი მეტრი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. აგრეთვე ცვლილება განხორციელდა მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიების ნაწილზე ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, ვინაიდან, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს გზას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ქვემო გომის ჩიხში N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.070.012) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3 -ით (სზ-3) ცვლილება და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ცვლილება მისაღება. ჩიხის სატრანსპორტო ზონის ადგილზე დათვალიერების გათვალისწინებით, საკითხის განხილვა გადადებულ იქნა.

გ) ქალაქ თბილისში, გლდანის სამრეწველო ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.979) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 მარტის N01200703419 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში დაფიქსირებული პოზიციის თანახმად სამსახური არ არის წინააღმდეგი წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ის ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, გლდანის სამრეწველო ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.979) გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება მისაღება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინჟექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032007913-03 -19.03.2020)

საკითხი წარმოადგინას.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუბა ყანდარელმა.მისითქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა, N21-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073). ნაკვეთის ფართობი: 7705.0კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით ვხვდებით სამედიცინო დაწესებულებებს, ხოლო ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებს. საპროექტო ტერიტორია ხვდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 201-500 მეტრის შეზღუდვის ზონაში. საპროექტო ტერიტორია ხვდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 201-500 მეტრის შეზღუდვის ზონაში. აღნიშნულ შეზღუდვასთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 2019 წლის 16 სექტემბრის წერილის შესაბამისად: „საერთო ჯამში, საელჩო არ გამოთქვამს პრეტენზიას მიმდინარე

მშენებლობაზე სსიპ შიდსის ცენტრის სტრუქტურის ფარგლებში, მხოლოდ აშშ-ს საელჩოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შენობის დასავლეთ კედელზე არ უნდა აშენდეს გასასვლელები.“ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია შესაბამისი ფუნქციური სახეობებით. „ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N10 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ააიპ „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“-ს მშენებლობა. სამედიცინო ცენტრში მოიაზრება ძლიერი დიაგნოსტიკური დეპარტამენტი, ამბულატორია, ლაბორატორია, ასევე იგი განიხილება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ობიექტი. შენობა-ნაგებობა არქიტექტურულად წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ „ა“ და „ბ“ კორპუსს ასევე დამხმარე ნაგებობებს (საგენერატორო, ელექტრო ტრანსფორმატორი, წყლის საფილტრი ნაგებობა, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა) ძირითადი და დამხმარე ნაგებობების ჯამური კვ-ის საანგარიშო ფართი 14 500 კვ. მ-ია. შენობის სავარაუდო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 7 705.0 კვ.მ. არსებული ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) კ-1= - კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული; საპროექტოდ მითითებულია 3 640 მ² (კ-1=0,5) კ-2= - კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული; საპროექტოდ მითითებულია 14 500 მ² (კ-2=1,9) კ-3= 0,2 1945,49 მ² - 1655 მ² კ-3-ისთვის გამოყოფილი ფართობი, ხოლო 290 მ² ცხაურა ავტოსადგომებისათვის. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლეა 22.2 მეტრი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 11 მარტის N01200712977 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.13.01.007.073 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 20 თებერვლის N01200513901 წერილის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ვინაიდან, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი არ მოიცავს საპროექტო შენობანაგებობის დეტალურ არქიტექტურულ გეგმარებას, მშენებლობის

ნებართვის ეტაპზე გათვალისწინებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 2019 წლის 16 სექტემბრის წერილში დაფიქსირებული მოთხოვნა: „აშშ-ს საელჩოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შენობის დასავლეთ კედელზე არ უნდა აშენდეს გასასვლელები.“ საპროექტო ტერიტორიაზე უკვე ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს სამედიცინო დანიშნულების შენობა-ნაგებობები და საპროექტო წინადადებით განვითარება იგეგმება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი, სპეციალურ ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვები ფუნქციით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

აღნიშნულისგათვალისწინებით, კომისიამიზანშეწონილადმიიჩნევს„ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ გატანილიქნესსაკრებულოსსხდომაზედასამტკიცებლად.

6. „ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.01.018.273; 01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-03200761-03 - 16.03.2020)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუბა ყანდარელმა.მისითქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დიდმის მასივში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე. სავარაუდო ფართობი: 15144 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 18 მაისის N12084 გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დიდუბეზღუდურეთის რაიონი, დიდმის მასივი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. #14 და ნაკვ. #18/273) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.205, N01.13.01.018.273) გაიცა განაშენიანების რეგულირების გეგმის

გეგმარებითი დავალება. „ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით „ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205) დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება გულისხმობს მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.377) (წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ალბომის მიხედვით სექტორი #9) შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების პროექტის მიხედვით გათვალისწინებული ორი, სამ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, 4 სართულიანი მრავალბინიანი შენობა-ნაგებობების განთავსებას. მიწის ნაკვეთზე ასევე იგეგმება 2 სართულიანი კომერციული შენობა-ნაგებობის და ასევე 2 სართულიანი დახურული საცურო აუზის განთავსება (აღნიშნულ შენობებს კორექტირება არ ეხება). წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით (უშუალოდ დასაკოტექტირებელი სექტორის) ჯამური ქალაქთმშენებლობითი მაჩვენებლები არ იცვლება და რჩება იგივე: საცხოვრებელი ზონა 3, რაც დამტკიცებული გრგ-ს პროექტით არის დადგენილი. ინტერაქტიულ რუკაზე არ არის ასახული შეთანხმებული ფუნქციური ზონირება. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კი შემდეგია: კ-1=0,5 ; კ-2=1,5; კ-3=0,2; აღნიშნული კორექტირება არ იწვევს მიკრო უბნის საერთო იერსახის ცვლილებას და არ იღვევს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ არქიტექტურული კონცეფცია, ასევე არ იცვლება მიწათსარგებლობის პარამეტრები. ამასთან, როგორც არსებული ფოტოსურათებიდან ირკვევა, N01.13.01.018.377 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებობა უკვე ნაწარმოებია და 3 სართულიანი შენობა-ნაგებობების ნაცვლად აშენებულია 4 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება არ საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს პოზიციებს. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი კორექტირება არსებით გავლენას არ ახდენს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ გადაწყვეტაზე და სივრცით ტერიტორიულ კონცეფციაზე, მიზანშეწონილია დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში მოთხოვნილი ცვლილების შეტანა, ხოლო საპროექტო ნაკვეთისთვის ნებართვის გაცემისა და პროექტის შეთანხმების საკითხი განისაზღვრება უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის დეტალური პროექტირების ეტაპზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.01.018.273; 01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების

რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ს. ცინცაძის ქ. №51-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №224 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №11-03200903-03 30.03.2020)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.3 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქუჩა №43-ის მიმდებარედ, ს. ცინცაძის N51-ში და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე. საპროექტო წინადადებაში შემადგენლობაში შედის 20 საკადასტრო ერთეული (საკადასტრო კოდები: NN 01.10.14.028.110; 01.10.14.028.109; 01.10.14.028.183; 01.10.14.028.184; 01.10.14.028.196; 01.10.14.028.199; 01.10.14.028.201; 01.10.14.028.203; 01.10.14.028.209; 01.10.14.028.208; 01.10.14.028.083; 01.10.14.028.052; 01.10.14.028.113; 01.10.14.028.008; 01.10.14.028.097; 01.10.14.028.114; 01.10.14.028.214; 01.10.14.028.064; 01.10.14.028.037; 01.10.14.028.186;) საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 5046კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-2 მუხლის შესაბამისად, წერილობითი დასტურის/ მშენებლობის ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავების ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). გეოსაფრთხეების ზონირების რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მოქცეულია საშუალო გეოსაშიშროების ზონაში. ტერიტორია არის რთული რელიეფის, ნიშნულებს შორის სხვაობა წარმოადგენს 30 მეტრს. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ს.ცინცაძის ქ. N51-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N224 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მოიცავდა 15 საკადასტრო ერთეულს (საკადასტრო კოდები: NN01.10.14.028.196; 01.10.14.028.183; 01.10.14.028.184; 01.10.14.028.109; 01.10.14.028.110; 01.10.14.028.114; 01.10.14.028.052; 01.10.14.028.113; 01.10.14.028.008; 01.10.14.028.097; 01.10.14.028.125; 01.10.14.028.186; 01.10.14.028.037; 01.10.14.028.064; 01.10.14.028.083). ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებაში შენიშვნის სახით დაფიქსირებული იყო, რომ საპროექტო არეალში იგეგმებოდა 15 დარეგისტრირებული და 2 დასარეგისტრირებელი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება. ქალაქთმშენებლობითი კოეფიციენტების დაზუსტება კი უნდა განხორციელებულიყო განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე. საერთო ფართობი: 5276 კვ.მ. შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მიხედვით, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო არეალის ფართობის (6177კვ.მ) და საკადასტრო ერთეულების ცვლილება. საპროექტო წინადადება ითვალისწინებს სექტორების გადაგეგმარებას, წარმოდგენილია 3 სექტორი: სექტორი 1- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; სექტორი 2- საბავშვო ბაღი; სექტორი 3- სპორტული დარბაზი და სპორტული მოედნის განთავსების არეალი. საპროექტო ტერიტორიის კოეფიციენტები: კ1-0.5; კ2-4.6; კ3-0.3. სექტორი 1: კ1-0.5 კ2-5.6 კ3-0.3 სექტორი 2: კ1-0.4 კ2-0.8 კ3-0.3 სექტორი 3: კ1-0.5 კ2-0.5 კ3-0.3; საპროექტო ფუნქციური ზონირება რჩება უცვლელი საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის კორექტირება მოიცავს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაზრდას 2.5 დან 4.6-მდე. აღნიშნული საკითხი განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურმა და მისი 2020 წლის 2 მარტის N21-01200623979 წერილის შესაბამისად დაფიქსირდა დადებითი პოზიცია. აღნიშნული ტერიტორიის განვითარება ეფუძნება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ასევე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოდან 2019 წლის 22 აგვისტოს N61-01192342463 წერილით გადმოგზავნილ დოკუმენტაციას. ამასთან, სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით საკითხის მომზადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 21 აპრილის N10.05.531 და N10.06.532 დადგენილებები და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩა, N51 და N53 შორის მდებარე 246 კვ.მ. მიწის ნაკვეთის

(ნაკვეთი 28/113 საკადასტრო კოდი: N01.10.14.028.113) ყოფილი საბინაო-სამშენებლო N618 და N652 კოოპერატივების წევრებისთვის: ნათელა ცუცუნაშვილისთვის (პ/ნ: 01024046297), ნინო ბისიეშვილისთვის (პ/ნ: 01024040347), ზურაბ ადამაშვილისთვის (პ/ნ: 01013015743) და იოსებ გილაურისთვის (პ/ნ: 01009003662) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1 განკარგულება, რომლებიც ადასტურებს სახელმწიფო საშინაო ვალის სახით არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოდგენილი დავალიანების საკითხის მოგვარების მიზნით უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხს, რომელიც ჯამში შეადგენს 10 წევრსა და 790 კვ.მ-ს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 მარტის N01200703081 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა 01.10.14.028.106; 01.10.14.028.202; 01.10.14.028.211; 01.10.14.028.110; 01.10.14.028.109; 01.10.14.028.183; 01.10.14.028.184; 01.10.14.028.196; 01.10.14.028.199; 01.10.14.028.201; 01.10.14.028.203; 01.10.14.028.209; 01.10.14.028.208; 01.10.14.028.083; 01.10.14.028.052; 01.10.14.028.113; 01.10.14.028.008; 01.10.14.028.097; 01.10.14.028.114; 01.10.14.028.214; 01.10.14.028.064; 01.10.14.028.037; 01.10.14.028.186 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის N01193503598 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია საფეხმავლო ინფრასტრუქტურა. საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძებზე ზოგიერთი მიმართულება მცირედ გადატვირთულია. საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ დაგეგმილი პროექტი ვერ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის რეკომენდაციების გათვალისწინებით. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია არეალის გაზრდა რაც, დადებითად იმოქმედებს არსებული ბარაკული განაშენიანების განვითარებაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სექტორების გადაგეგმარება ფართობის ცვლილებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) შესაძლებელია დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე.

კომისიის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა და სივრცით ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით საკითხი გადადებულ იქნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ს.ცინცაძის ქ. N51-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N224 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ გატანილ იქნას ზ/აღნიშნული შენიშვნით საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

8. „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №11-03200904-03 30.03.2020)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუბა ყანდარელმა.მისითქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ. ტერიტორიის სავარაუდო ფართობი: 202 150 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე (კორექტირების ნაწილში) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“ გაცემულია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 აპრილის N440 აქტის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: კ-1=0.5, კ-2=1.5, კ-3=0.2 (კორექტირებულ არეალში). შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება მოიცავს ნაკვეთების # D15, D16, D17 გაერთიანებას და მათ ნაცვლად

ერთი ნაკვეთის მიღებას (ნაკვეთი #D15). გაერთიანებით არ იცვლება ნაკვეთის ჯამური ფართობი და კონტურული საზღვრები. გაერთიანება განპირობებულია მასში შენობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) განთავსების მიზნით. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის #F11 ნაკვეთის 9 ნაკვეთად დაყოფა (ნაკვეთი # F11, F12, F13, F14, F15, F16, F17, F18, F19). მიღებული ნაკვეთების ჯამური ფართი შეესაბამება პირვანდელი (დასაყოფი #F11) ნაკვეთის ფართს. ნაკვეთებზე განთავსდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები; ასევე, გათვალისწინებულია #E5, #E6 ნაკვეთების გაერთიანება და მათ ნაცვლად ერთი # E5 ნაკვეთის ჩამოყალიბება, #E12, E13 ნაკვეთების გაერთიანება და მათ ნაცვლად ერთი # E12 ნაკვეთის ჩამოყალიბება. გაერთიანება განპირობებულია მასში შენობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) განთავსების მიზნით. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები წარმოდგენილი კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით: კ-1-0.5, კ-2-1.5, კ-3-0.2 (უშუალოდ კორექტირებულ არეალში); სართულიანობა: 2/3; გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საპროექტო გადაწყვეტა არ ითვალისწინებს არსებითად განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი მახასიათებლების ცვლილებას, გარემოსა და სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სუბიექტების ადმინისტრაციულ წარმომადგენელთა ჩართვა არ განხორციელებულა. ვინაიდან, აღნიშნული კორექტირება არ არღვევს განაშენიანების რეგულირების გეგმის ძირითად სტრუქტურას და არ იწვევს მისი სხვა მაჩვენებლების, მათ შორის არც ფუნქციური ზონის, ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. „ქალაქ თბილისში, დ.აბაშიძის ქუჩა N17-სა და დ. აბაშიძის N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.001.006; N01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი, სასტუმრო, კაფე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032009023-03 - 30.03.2020)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუბა ყანდარელმა.მისითქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დ. აბაშიძის N17, N17/4 -ის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.001.006; 01.16.05.001.017; ჯამური ფართობი: 9 881კვ.მ.) მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დ. აბაშიძის ქ.-სა და სანაპიროს კუთხეში, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება დ. აბაშიძის ქ.-დან შემავალი საავტომობილო გზა (ჩიხური დაბოლოებით). აღმოსავლეთით - დ. აბაშიძის ქუჩა. სამხრეთით - მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, დასავლეთით კი უ. ჩხეიძის ქუჩა და საცხოვრებელი კორპუსი. საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით. ტერიტორიაზე მრავლადაა ხე-ნარგავები, რომელიც დაგეგმვის მიუხედავად მაქსიმალურად არის შენარჩუნებული. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ასევე, ტერიტორიაზე ვრცელდება ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა - ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა (ისტ-2). „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც ავთენტიკური სახით შემორჩენილია ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის ფრაგმენტები ან/და ცალკეული ძეგლები, კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტები, ფონური განაშენიანება. განაშენიანების რეგულირების ზონა შეიძლება ასევე იყოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სხვა ზონის ბუფერული ზონა. „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დ.აბაშიძის N17/4, N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N01.16.05.001.017; N01.16.05.001.006) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 სექტემბრის N280 განკარგულების შესაბამისად დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადების შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაწილი იცვლება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), სადაც დაგეგმილია ბანკის, სასტუმროს და კაფის მშენებლობა. ასევე, 7 სართულიანი ბანკის შენობა-ნაგებობა განთავსება ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში, 8-9 სართულიანი სასტუმრო კი ნაკვეთის ჩრდილოეთით, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს 2 სართულიანი კაფე. ინტენსიურად გამწვანებული ზონა, რომელიც ამჟამად კერძო საკუთრებაშია და ღობითაა გამიჯნული, შეიძენს საჯარო, გამწვანებული სარეკრეაციო დასასვენებელი სივრცის ფუნქციას. მიწის ნაკვეთის დონე სანაპიროს გზის სავალი ნაწილის დონესთან მიმართებაში საშუალოდ 4.0 მ-ით მაღლაა, შესაბამისად, სანაპიროს გასწვრივ გრუნტის დონის შესანარჩუნებლად მოწყობილია რკინაბეტონის საყრდენი კედელი. დაგეგმვა კი ითვალისწინებს აღნიშნული კედლის მოხსნას. ძირითადი პარკინგი მოეწყობა მიწისქვეშა სივრცეში, აგრეთვე, მიწისზედა პარკინგი მოეწყობა ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან სამშენებლო ტერიტორიად გამოყოფილია 6792 კვ.მ., რომელსაც მიენიჭება საზოგადოებრივ-

საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ხოლო 3089 კვ.მ.-ს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადებაში წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა, მოცულობები, მაქსიმალური სიმაღლეები შეთანხმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის 5 სექტემბრის N35 ოქმის შესაბამისად, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. სიმაღლისა და სართულიანობის შეზღუდვიდან გამომდინარე არ ხდება საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2-ისთვის (სსზ-2) დადგენილი მაქსიმალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ათვისება. განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით მიწის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: სსზ-2 ფართობი 6 792 კვ.მ კ-1=0,4 (2 500 კვ.მ.) კ-2=2,7 (18 000 კვ.მ) კ-3=0,2 (1 400 კვ.მ) რზ-2 ფართობი 3 089 კვ.მ. კ-1=0,0 (0 კვ.მ.) კ-2=0,0 (0 კვ.მ) კ-3=0,8 (2 350 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 31 დეკემბრის N0119365383 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 27 ნოემბრის N01193311501 წერილის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა N17-სა და N17/4- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.16.05.001.006; 01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

აღნიშნულისგათვალისწინებით, კომისიამიზანშეწონილადმიიჩნევს,ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა N17-სა და დ. აბაშიძის N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.001.006; N01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი, სასტუმრო, კაფე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე გატანილიქნესსაკრებულოსსხდომაზედასამტკიცებლად.

10. ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N41-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.691) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების, დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №11-032009019-03 - 30.03.2020)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუბა ყანდარელმა.მისითქმით,საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკების მიმდებარედ, ტერიტორია ძირითადად გაუნაშენიანებელია, სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება აგარაკების ქუჩიდან, რომელიც საპროექტო

ტეროტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება. ნაკვეთის ფართობი: 27328.0კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N72.16.15.691 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა (რზ). საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება. დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება. ტერიტორიაზე დაგეგმილია 30 საკადასტრო ერთეულის გამოყოფა, აქედან 26 საკადასტროზე დაგეგმილია სააგარაკედასასვენებელი სახლის მშენებლობა, 1 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში მოეწყობა საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი ფუნქციის პარკი, 1 საკადასტრო ერთეულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების ფუნქციის ობიექტი და 2 საკადასტრო გამოყოფილია სატრანსპორტო ზონისათვის, როგორც სამანქანო, ისე საფეხმავლო ბილიკების დასაგეგმად. საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული ქუჩათა ქსელი თანხვედრაშია მიმდინარე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებში გათვალისწინებული ქუჩათა ქსელებთან და ქმნის ერთიან სისტემას, რაც აუცილებელი კვარტლის სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის. შენობის სავარაუდო ტექნიკურ- ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 27328 კვ.მ. განაშენიანების ფართობი დაახლოებით: კ-1=0,3; განაშენიანების ინტენსივობის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: კ-2=1,0; მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი: კ-3=0,6 მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე სართული/12 მ არსებული ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა (რზ) საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3(რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 27 თებერვლის N01200582811 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N72.16.15.691 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 30 იანვრის N01200303676 წერილის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ამასთანავე, განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში წარმოსადგენი იქნება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. ვინაიდან, ხდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი სარეკრეაციო ზონის (რზ) სარეკრეაციო ზონა 3-ითა (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით განვითარება და შიდა საუბნო რეკრეაციული სივრცე გათვალისწინებულია პარკის მოსაწყობად, ხოლო დაგეგმილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გზათა ქსელი კომპლექსურია და თანხვედრაშია

მიმდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის გზათა ქსელთან, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N41-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.691) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება დასაშვებია.

აღნიშნულისგათვალისწინებით, კომისიამიზანშეწონილადმიიჩნევსქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N41-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.691) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების, დამტკიცების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.074) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032003167-03 – 31.01.2020)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუბა ყანდარელმა. მისითქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნამღალაძის რაიონში, მექანიზაციის ქუჩა N1- ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.074). ნაკვეთების ფართობი 12 162 კვ.მ. საკვლევი არეალის განაშენიანება წარმოადგენს ძირითადად საბჭოთა კავშირის დროინდელ სამრეწველო დანიშნულების შენობებსა და ანგარებს, შესაბამისად, გამოყენების ძირითადი დომინირებული სახეობებია სამრეწველო-სასაწყობე დანიშნულების ნაგებობები, რომლებშიც დღეის მდგომარეობით განვითარებულია მცირე საამქროები, საწყობები და ე.წ. საქმიანი ეზოები. საკვლევ ტერიტორიაზე არ გვხვდება, ისეთი ტიპის საწარმოები, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენს საცხოვრებელ გარემოსა და ადამიანზე. საკვლევი არეალის ფარგლებში და მის უშუალო სიახლოვეს გვხვდება ქალაქმშენებლობაში აღწერილი სელიტურები (მაღალი ინტენსივობის) ზონისთვის დასაშვები და აუცილებელი მომსახურების ინფრასტრუქტურა როგორცაა: საბავშვო ბაღები და სკოლები, გამწვანებული ტერიტორიები და საბავშვო სათამაშო მოედნები, სურსათის ცენტრალიზებული მიკრორაიონული მნიშვნელობის მაღაზიები. საკვლევი უბნის და ზოგადად მომიჯნავე ტერიტორიის მთავარ აქცენტს წარმოადგენს ვეტერანთა დასვენებისა და შრომის პარკი ე.წ. „კიკვიძის პარკი“. წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტის შესაბამისად, ხდება სამრეწველო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ჩანაცვლება საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებით, აღნიშნული განაშენიანება ვითარდება ერისთავის ქუჩიდან კვარტლის სიღრმეში, ჭყონდიდელის ქუჩის გასწვრივ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18

დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ტერიტორიის დაგეგმვის მიზანს წარმოადგენს ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნა. ვინაიდან, „ბრაუნფილდების“, კერძოდ, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო ზონის საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ფუნქციით ჩანაცვლება დადებით ეფექტს მოახდენს მიმდებარე განაშენიანებაზე. გაიზრდება სასაწყობო და საწარმოო ფუნქციით განვითარებული მიწის ნაკვეთების და შენობების საბაზრო ღირებულება, ასევე შეიცვლება და გაუმჯობესდება ტერიტორიების მხატვრულ-არქიტექტურული იერსახე. გაუნაშენიანებელი ან/და საცხოვრებელ განაშენიანებაში მოქცეული სამრეწველო/სასაწყობო ფუნქციის მიწების ჩანაცვლება, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი სიმჭიდროვესა და ინფრასტრუქტურულ საჭიროებებს შორის ბალანსის დაცვა. საპროექტო მიწის ნაკვეთი დაიყოფა 2 გეგმარებით ერთეულად, საიდანაც ერთი იქნება მონოგენური ფუნქციის (საცხოვრებელი), ხოლო ერთი შერეული (საზოგადოებრივ-საქმიანი). კომპლექსის ინტენსივობა ჩამოყალიბდება შემდეგი პრინციპით: მონოგენური ფუნქციის (საცხოვრებელი) ერთეულისთვის, საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) დადგენილი პარამეტრი - $კ-2=2.1$, თუმცა აღნიშნული გეგმარებითი ერთეულის განვითარება მოხდება არასაცხოვრებელი ფუნქციით და მასში შემავალი საპროექტო შენობა/ნაგებობები იქნება, საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) დასაშვები სახეობიდან ერთი - სპორტული დარბაზი (დახურული სპორტული მოედნით და სავარჯიშო დარბაზებით), ხოლო მეორე - საცურაო აუზი (დახურული), შესაბამისად აღნიშნული გეგმარებითი ერთეულის განვითარება მოხდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ფუნქციით, რომელიც მოემსახურება როგორც საზოგადოებრივ ინტერესებს, ასევე შერეული ფუნქციის ერთეულში მდებარე მრავალფუნქციური შენობის და მასში მაცხოვრებლების ინტერესებს და შექმნის ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოს. შერეული (საზოგადოებრივ-საქმიანი) ფუნქციის ერთეულისთვის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) დადგენილი იქნება - $კ-2=4.0$. საპროექტო კომპლექსის სივრცით-გეგმარებითი წყობა წარმოადგენს მიკრორაიონის განაშენიანების მიმსგავსებულ წყობას - დახურული კვარტალური განაშენიანება, რომელიც ქმნის შიდა ეზოებს და საერთო სარგებლობის სარეკრეაციო და სპორტული აქტივობების სივრცეებს. განსხვავებული წყობა - ღია, სივრცით-მოცულობითი იქნება საზოგადოებრივ-საქმიანი (შერეული) ფუნქციების მქონე გეგმარებით ერთეულს (#1), რომელიც გეგმარებითი ლოგიკიდან გამომდინარე ცენტრალური გზისა (გ.ჭყონდიდელის ქ.) და გეგმარებითი კარკასის (თ.ერისთავის ქ.) მიმდებარედ განვითარდება. კომპლექსის მოსახლეობის საანგარიშო სიმჭიდროვე მიღებულია სამშენებლო ნორმებისა და წესებისა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული მასალებიდან, სადაც დადგენილია 1 ადამიანზე 25 კვ.მ. სასარგებლო ფართობისა. საერთო გეგმიური საცხოვრებელი სიმჭიდროვე ≈ 336 ადამიანი. მრავალფუნქციური კომპლექსის ავტოსადგომების უზრუნველყოფა განხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი ნორმატიული მაჩვენებლებით, რაც დაგეგმილი კ-2 მიხედვით შეადგენს 179 ერთეულ ადგილს


მთელს კომპლექსზე. დაგეგმარების ამოცანებს წარმოადგენს: * მრავალფუნქციური (სავაჭრო-კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი და სპორტულგამაჯანსაღებელი) კომპლექსის განთავსება ქალაქთმშენებლობით კონტექსტში; * დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება და ადეკვატური საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; * კომპლექსის უზრუნველყოფა ადეკვატური სოციალური, სპორტული და მწვანე ინფრასტრუქტურით; * მიწათსარგებლობის რეგულირება. შემოთავაზებული წინადადებით არსებული ზონა სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება ხდება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 -ით (სსზ-1). ტერიტორიის საპროექტო ფართობი: 12 162კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)- 8624კვ.მ; საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-3538 კვ.მ. მოთხოვნილი პარამეტრები: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5): კ1-0,5; კ2-2,1; კ3-0,3. საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1): კ1-0,5* /0.7; კ2-3,5+0,5=4.0; კ3-0,2. „განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე, განაშენიანების ინტენსივობის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკარსულ მდგომარეობაში. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისათვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა. კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 32 262 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 20 დეკემბრის N01193542503 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.12.12.002.074 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 17 იანვრის N0120017504 წერილის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის კვლევა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძებზე ზოგიერთი მიმართულება გადატვირთულია. საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე. რეკომენდებულია, ავტოსადგომები მაქსიმალურად იყოს ჩატანილი მიწისქვეშა ავტოსადგომზე. შესაბამისად,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

აღნიშნულისგათვალისწინებით, კომისიამიზანშეწონილადმიიჩნევს,ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.074) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რევაზ სოხაძე